

**შუალედური ანგარიში №1\***  
10-25 აპრილი, 2008 წელი

**მოკლე შინაარსი**

- 2008 წლის 21 მარტს, 2008 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, პრეზიდენტმა საპარლამენტო არჩევნები 2008 წლის 21 მაისისთვის დანიშნა. საარჩევნო სისტემაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებების შედეგად ახალი პარლამენტი 150 წევრისგან დაკომპლექტდება, აქედან 75 წევრი აირჩევა პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ხოლო 75 წევრი – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე. თითოეულ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა მკვეთრად განსხვავებული რიცხოვნობა ნეგატიურად მოქმედებს ხმათა თანაბარ გადანაწილებაზე;
- არჩევნებში მონაწილეობას საქართველოს 3, 5 მილიონი მოქალაქე შეძლებს. 17 აპრილიდან 5 მაისამდე ამომრჩევლებს საშუალება აქვთ გადაამოწმონ თავი საარჩევნო სიებში. არჩევნების დღეს რეგისტრაცია გაუქმებულია;
- არსებული სამართლებრივი ბაზა ზოგადად ხელს უწყობს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას, თუ იგი კეთილსინდისიერად განხორციელდება. კონსენსუსის მისაღწევად ყოველგვარი კონსულტაციის გამართვის გარეშე, ცვლილებები კონსტიტუციასა და საარჩევნო კოდექსში მარტის თვეში შევიდა, რის შედეგადაც საარჩევნო სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. პრობლემატურია ის ახალი დებულებები, რომლებიც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებს საარჩევნო კამპანიის შეუზღუდავად წარმოებისა და კამპანიის მიზნებისთვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების უფლებას ანიჭებს;
- არჩევნების ადმინისტრირებას ახორციელებს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო), 76 საოლქო საარჩევნო კომისია და დაახლოებით 3,600 საუბნო საარჩევნო კომისია. საარჩევნო კოდექსში შესული ბოლო საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, 21 მაისის არჩევნებისთვის გაიზარდა პარტიული წარმომადგენლობა საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე. თუმცა, ოპოზიცია კვლავაც არასაკმარისად არის წარმოდგენილი საუბნო საარჩევნო კომისიების მმართველ პოზიციებზე. ცესკო აქტიურად არის ჩართული არჩევნების მომზადებაში და ხშირად მართავს შეხვედრებს, რომლებზეც დასწრება პარტიათა წარმომადგენლებს, მედიასა და დამკვირვებლებსაც შეუძლიათ;
- საპარლამენტო არჩევნებში ცხრა პოლიტიკური პარტია და სამი საარჩევნო ბლოკი მიიღებს მონაწილეობას. საერთო ჯამში მოცულობითი და გამჭვირვალე

\* ამ დოკუმენტის მხოლოდ ინგლისურენოვანი ვერსია არის ოფიციალური.

სარეგისტრაციო პროცესი გარკვეულწილად დაჩრდილა მმართველი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ კანდიდატთა სიის წარდგენასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა. ცესკო-ს ოპოზიციის მიერ დანიშნული წევრების მოთხოვნის მიუხედავად, ცესკო-ს თავმჯდომარე, სიების წარდგენის ბოლო ვადის ამოწურვიდან რამდენიმე საათის შემდეგ, უარს აცხადებდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატთა სიის ჩვენებაზე;

- საარჩევნო კამპანია პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში მიმდინარეობს. ოპოზიციონერი პოლიტიკოსები ღრმა უნდობლობას უცხადებენ საარჩევნო ადმინისტრაციას და ეჭვის თვალთ უყურებენ საარჩევნო პროცესს. მათი მხრიდან გაისმის დაშინების, ზეწოლისა და ხმების მოსყიდვის ბრალდებები. არასამთავრობო ორგანიზაციებმა იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდთან შედარებით, დღემდე დაშინების უფრო ნაკლები შემთხვევა დააფიქსირეს;
- ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის გამართული მოლაპარაკებების შედეგად, შეიქმნა „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ახალი სამეურვეო საბჭო და არჩეულ იქნა მაუწყებლობის ახალი დირექტორი. „საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ და არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტმა ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ საარჩევნო პროცესების გაშუქებასთან დაკავშირებით. 10 აპრილს ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ოფისის (OSCE/ODIHR) არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ ხუთი ტელევიზიისა და ოთხი გაზეთის მონიტორინგი დაიწყო;
- საჩივრებთან და განცხადებებთან დაკავშირებული პროცედურები გარკვეულწილად გამარტივდა და უფრო გასაგები გახდა. თუმცა, კვლავაც დაკვირვების საგნად რჩება ის, თუ რა გავლენას იქონიებს შემცირებული ვადები პროცედურების დაცვის გზით სამართლიანობის უზრუნველყოფაზე.

## შესავალი

2008 წლის 21 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საპარლამენტო არჩევნები 2008 წლის 21 მაისისთვის დანიშნა. პარლამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევის საფუძველზე, OSCE/ODIHR-მა 2008 წლის 10 აპრილს არჩევნების სადამკვირვებლო მისია მოავლინა, რომელსაც ელჩი ბორის ფრლეცი ხელმძღვანელობს. მისია თბილისში ბაზირებული 14-წევრიანი ძირითადი ჯგუფისა და 28 გრძელვადიანი დამკვირვებლისგან შედგება, რომელთა განლაგება 17 აპრილს მთელი ქვეყნის მასშტაბით 10 სხვადასხვა ადგილას განხორციელდა. ძირითადი ჯგუფის წევრები და გრძელვადიანი დამკვირვებლები ეუთოს 24 წევრი ქვეყნიდან არიან მოწვეულნი. ამ

ქვეყნებს 350 მოკლევადიანი დამკვირვებლის გამოგზავნა ეთხოვათ, რომლებიც ხმის მიცემის, ხმების დათვლისა და შეჯამების პროცესს დააკვირდებიან.

## პოლიტიკური კონტექსტი

საპარლამენტო არჩევნები, რომლის ჩატარებაც თავდაპირველად 2008 წლის ბოლოსთვის იყო დაგეგმილი, 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად ჩატარებული პლემბისციტის შედეგად, ვადაზე ადრე დაინიშნა. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წინადადება პლემბისციტის ჩატარების შესახებ 2007 წლის ნოემბერში ოპოზიციის მიერ მოწყობილ დემონსტრაციებს მოჰყვა. ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას საპარლამენტო არჩევნების დაგეგმილ ვადაზე ადრე ჩატარება წარმოადგენდა.

პოლიტიკურად მკვეთრად პოლარიზებული 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, მმართველ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და ოპოზიციურ პარტიებს შორის დიალოგის მხრივ გარკვეული წინსვლა შეინიშნებოდა. იანვრის ბოლოს მთავარმა ოპოზიციურმა ბლოკმა წარმოადგინა მემორანდუმი 17 მოთხოვნით. პროგრესი შეიმჩნეოდა ახალი საარჩევნო სისტემის შექმნასთან დაკავშირებით გამართულ განხილვებშიც, რაც ოპოზიციის მთავარ მოთხოვნას წარმოადგენდა. თუმცა, პოლიტიკური ტენდენცია დიდხანს არ გაგრძელებულა. მარტში პოლიტიკური გარემო კვლავ გაუარესდა. ოპოზიციის რამდენიმე წევრმა, საკუთარი მოთხოვნების გასამყარებლად, 17-დღიანი შიმშილობის აქცია მოაწყო. ოპოზიციის საპროტესტო აქცია იმით დასრულდა, რომ მათი მოთხოვნების უმეტესობა არ დაკმაყოფილდა.

## სამართლებრივი ბაზა და საარჩევნო სისტემა

საქართველოში სამართლებრივ ბაზას არჩევნებისთვის წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია (1995), საქართველოს ორგანული კანონი - საარჩევნო კოდექსი (2001), და სხვა საკანონმდებლო აქტები, ასევე სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსები და საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები. 2008 წლის 11-12 მარტს საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი შესწორებების შედეგად, შეიცვალა საპარლამენტო არჩევნების სისტემა. საარჩევნო კოდექსმაც არაერთხელ განიცადა მთელი რიგი ცვლილებები. ბოლოდროინდელი ცვლილება 21 მარტს განხორციელდა, საპარლამენტო არჩევნების დღემდე ორი თვით ადრე<sup>1</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ერთიანი საარჩევნო კოდექსი ზოგადად ხელს უწყობს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას, იგი შეიცავს მთელ რიგ არსებით ხარვეზებს, საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული იმ დებულებების ჩათვლით, რომლებიც

<sup>1</sup> ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის მიერ აპრობირებული საარჩევნო პრაქტიკის კოდექსის თანახმად (CDL-AD (2002) 23 rev, გვ. 26, აბზ. 65, საარჩევნო სისტემის შეცვლა დაუშვებელია არჩევნებამდე 1 წლის განმავლობაში.

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებს<sup>2</sup> ახლა კამპანიის შეუზღუდავად წარმოებისა და ასევე კამპანიის მიზნებისთვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების უფლებას ანიჭებს. აღნიშნული დებულებები პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს და ოპოზიციური პარტიები და ადგილობრივი დამკვირვებლები მათ კრიტიკულად უდგებიან. მთლიანობაში, მიუხედავად ბოლო დროს განხორციელებული ცვლილებებისა, კვლავაც რჩება ბევრი ხარვეზი, შეუსაბამობა და ორაზროვნება, რამაც სავსებით შესაძლოა ხელი შეუშალოს, უფრო მეტიც, სერიოზულად შეაფერხოს კანონის ეფექტურად განხორციელება. კანონის დადებითი ასპექტების შედეგიანობა უმეტესწილად დამოკიდებული იქნება დებულებების კეთილსინდისიერად განხორციელებაზე.

არჩევნების შემდეგ პარლამენტი დაკომპლექტდება ოთხი წლის ვადით არჩეული 150 წევრისაგან. 2008 წლის მარტში მიღებული ცვლილებების საფუძველზე, პარლამენტის 75 წევრი აირჩევა პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ხოლო 75 წევრი – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში<sup>3</sup>. საარჩევნო ბარიერი, რომელიც პარტიებმა და საარჩევნო ბლოკებმა პროპორციული სისტემით მანდატების მოსაპოვებლად უნდა გადალახონ, 7-დან 5 პროცენტამდე დაიწია. პირველ ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მაჟორიტარული სისტემით ხმათა უმრავლესობას მიიღებს, მაგრამ არანაკლებ 30 პროცენტისა. იმ შემთხვევაში, თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ხმათა რაოდენობას, ორი კვირის ვადაში ტარდება მეორე ტური იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც ხმათა უმეტესობა მიიღო.

არ არსებობს არანაირი სამართლებრივი მოთხოვნა ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების მასშტაბის თანაბრობისა ან შესაბამისობის შესახებ. 21 მაისის არჩევნებში ამომრჩეველთა რაოდენობა თითოეულ საარჩევნო ოლქში, რომელიც როგორც წესი, ადმინისტრაციულ ოლქებს ემთხვევა, 6,000-დან 140,000-მდე მერყეობს. თითოეულ საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა რაოდენობის ამგვარი სხვაობა არღვევს საარჩევნო უფლებების ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს, კერძოდ ხმების თანაბარ გადანაწილებას<sup>4</sup>.

## საარჩევნო ადმინისტრაცია

საპარლამენტო არჩევნების ადმინისტრირებას სამდონიანი საარჩევნო ადმინისტრაცია ახორციელებს, რომელშიც შედის: ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო), 76

<sup>2</sup> სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები, რომლებიც ინიშნებიან ან აირჩევიან, მაგალითად, პრეზიდენტი, მინისტრები ან სხვა აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელები ადგილობრივ ან რეგიონალურ დონეზე, ასევე პარლამენტის წევრები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წევრები.

<sup>3</sup> ოპოზიციამ მხარი დაუჭირა რეგიონალური პროპორციული საარჩევნო სისტემის შემოღებას.

<sup>4</sup> ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის პუნქტი 7.3 ავალებს ეუთოს წევრ ქვეყნებს „ხმის მიცემის უფლების მქონე მოქალაქეებისთვის საყოველთაო და თანაბარი ხმის მიცემის უფლების გარანტიას“. ევროსაბჭოს კომისია კანონის გზით დემოკრატიისათვის (იგივე, ვენეციის კომისია) იძლევა რეკომენდაციას იმის თაობაზე, რომ „ნორმიდან დასაშვები გადახრა არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს, და რა თქმა უნდა არ უნდა აღემატებოდეს 15%-ს განსაკუთრებულ შემთხვევებში“.

საოლქო საარჩევნო კომისია და 3,600 საუბნო საარჩევნო კომისია. კონკრეტულად ამ არჩევნებისთვის შეიცვალა საოლქო საარჩევნო კომისიათა შემადგენლობა, რომელშიც უკვე შედიან პარტიის მიერ წარდგენილი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები<sup>5</sup>. საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა ხუთი წევრიდან 13 წევრამდე გაიზარდა, რომელთაგან შვიდს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პოლიტიკური პარტიები წარადგენენ. ამ თვალსაზრისით, საოლქო საარჩევნო კომისიათა შემადგენლობა ცესკო-სა და საუბნო საარჩევნო კომისიათა შემადგენლობასთან შესაბამისობაში მოვიდა. პოლიტიკური პარტიები, განსაკუთრებით კი, ოპოზიციური პარტიები, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში მმართველ პოზიციებზე კვლავ ნაკლებად არიან წარმოდგენილნი. უკვე შექმნილი 3,555 საუბნო საარჩევნო კომისიის 3,347 თავმჯდომარის თანამდებობა შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიაში დანიშნულ წევრებს უკავიათ. 203 თავმჯდომარე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ არის დანიშნული. მხოლოდ ხუთი თავმჯდომარეა ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნული. მსგავსი სიტუაციაა მოადგილისა და მდივნის პოსტებთან დაკავშირებით.

16-17 აპრილს, საუბნო საარჩევნო კომისიებმა პირველი სხდომა გამართეს. პარტიის წარმომადგენლებმა, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა და ადგილობრივმა დამკვირვებლებმა ექვს საოლქო საარჩევნო კომისიაში<sup>6</sup> საჩივრები შეიტანეს, რომლითაც საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომის ოქმების გაუქმებას მოითხოვდნენ. აღნიშნული მოთხოვნა ძირითადად სხდომების გამართვის პროცედურების დარღვევით იყო განპირობებული. მაგალითად, როგორცაა იმ წევრთა წარდგენა, რომელთაც კომისიაში ძირითადი ფუნქციები უნდა დაეკისროთ. გლდანში საოლქო საარჩევნო კომისიამ საჩივარი დააკმაყოფილა და 26 საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომის ოქმები გააუქმა. აღნიშნულ კომისიებში ახალი სხდომები გაიმართა. საჩივართა დანარჩენი ნაწილი ან არ იქნა მიღებული განსახილველად ან არ დაკმაყოფილდა. ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება სასამართლოში გასაჩივრდა, თუმცა სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აპრილის დასაწყისში ცესკო-მ წარმოადგინა „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების რეფორმათა სტრატეგია“, რომლის მიხედვითაც მან თავისი საშტატო სტრუქტურისა და ფუნქციების რეორგანიზაცია მოახდინა. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიაში მეტი გამჭვირვალობა ძირითად პრიორიტეტად არის გამოცხადებული, ეს პრინციპები მნიშვნელოვნად შეილახა ცესკო-ში 21-22 აპრილს განვითარებული მოვლენების დროს, როდესაც ცესკო-ს წევრებს უარი ეთქვათ ინფორმაციის მიღებაზე (ქვემოთ იხილეთ პარტიის წარდგენა და რეგისტრაცია).

ცესკო ხშირად აწყობს შეხვედრებს, რომლებზედაც დასწრება თავისუფალია პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის, მედიისა და

<sup>5</sup> საარჩევნო კოდექსის 129<sup>8</sup>.4 მუხლში მოცემულია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიაში 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის დამატებით 8 წევრი უნდა დაინიშნოს. 26.2 მუხლის მიხედვით საოლქო საარჩევნო კომისიები 5 წევრისგან შედგება.

<sup>6</sup> გლდანის, ნაძალადევის, სენაკის, შუახევის, გურჯაანის და ისანის.

დამკვირვებლებისთვის. ცესკო-მ გაერო-ს განვითარების პროგრამასთან და ვაშინგტონის არასამთავრობო ორგანიზაციამ „საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდთან“ (IFES) ერთად საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ინსტრუქციები შეიმუშავა. აღნიშნული ინსტრუქციები შემდეგ ტრენინგის სახელმძღვანელოდ იქცა. აპრილის ბოლოდან საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებს ტრენინგს გადამზადებული ტრენერები ჩაუტარებენ.

### ამომრჩეველთა რეგისტრაცია

ცესკო ამომრჩეველთა ცენტრალიზებული რეესტრის უზრუნველყოფაზე არის პასუხისმგებელი. 15 აპრილს ცესკო-მ განაცხადა, რომ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 3,473,190 შეადგენს. ცესკო-ს ინფორმაციით, იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ამომრჩეველთა სიას 66,740 ახალი ამომრჩეველი დაემატა. აქედან 21,674 კი, საპრეზიდენტო არჩევნების დღეს დამატებით სიებში შეყვანილი ამომრჩეველია (დამატებით სიებში შეყვანილი დაახლოებით 85,000 ამომრჩეველიდან). ადგილობრივმა დამკვირვებლებმა დამატებითი სიებიდან ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეყვანის პროცესი აღწერეს როგორც არაგამჭვირვალე, რადგან დამატებითი სიებიდან ერთიან სიაში ყველა ამომრჩეველი არ იქნა შეყვანილი, ხოლო შერჩევის კრიტერიუმები არ იქნა ახსნილი.

საარჩევნო კოდექსში შესული ბოლო ცვლილებების შედეგად, გაუქმდა არჩევნების დღეს რეგისტრაცია და ამომრჩეველთა მიერ თავის გადამოწმებისთვის განსაზღვრული პერიოდი თორმეტიდან ცხრამეტ დღემდე გაიზარდა. საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებში, ასევე ცესკო-ში ამომრჩეველთა სიებში თავის გადამოწმება 17 აპრილიდან 5 მაისამდე არის შესაძლებელი. ამომრჩეველებს თავის გადამოწმება ასევე ინტერნეტის, ცესკო-ს ცხელი ხაზისა და SMS-ის მეშვეობით შეუძლიათ.

### პარტიის წარდგენა და რეგისტრაცია

საქართველოს კონსტიტუციისა და საარჩევნო კოდექსის მიხედვით მხოლოდ ცესკო-ს მიერ რეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს შეუძლიათ პარტიული სიებისა და მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენა. კანონი ცალკეულ პირებს კანდიდატთა წარდგენის უფლებას არ აძლევს<sup>7</sup>. იმ პარტიებს, რომლებსაც არ ჰყავთ წარმომადგენელი ახლანდელი მოწვევის პარლამენტში, ვალდებულნი არიან წარმოადგინონ არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერი 30,000 ამომრჩეველის ხელმოწერა. თავდაპირველად არჩევნებში მონაწილეობის სურვილი 60 პარტიამ გამოთქვა. 28 არასაპარლამენტო პარტიამ ცესკო-ს მხარდამჭერთა ხელმოწერები წარუდგინა. მათგან 18 უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მხარდამჭერთა ხელმოწერის არასაკმარისი რაოდენობის გამო ან კიდევ იმ მიზეზით, რომ ცესკო-მ

<sup>7</sup> ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.5 მუხლის დარღვევით, რომელშიც წერია, რომ წევრი ქვეყნები პატივს სცემენ მოქალაქეთა უფლებას შექმნან პოლიტიკური ან საჯარო დაწესებულება დამოუკიდებლად ან როგორც პოლიტიკური პარტიების ან ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

ხელმოწერათა დიდი ნაწილი ბათილად ცნო. ხუთმა პარტიამ, რომლებსაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე, სასამართლოში იჩივლა; პროცესი ყველა მათგანმა წააგო. ჯამში, ცესკო-მ 23 პოლიტიკური პარტია დაარეგისტრირა, რის შემდეგაც 14 პარტიამ სამი საარჩევნო ბლოკი შექმნა. შედეგად, არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს 12 საარჩევნო სუბიექტი - 9 პარტია და სამი საარჩევნო ბლოკი. 21 აპრილს ცესკო-მ საარჩევნო ბიულეტენში საარჩევნო სუბიექტთა რიგითობა განსაზღვრა. პროპორციული წესით ასარჩევი კანდიდატების სია, ისევე, როგორც კანდიდატთა სია ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში, რეგისტრირებულ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს ცესკო-სთვის 21 აპრილის 18:00 საათამდე უნდა წარედგინათ.

საარჩევნო კანდიდატებს შორისაა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მმართველი პარტია - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ცხრა პარტიისგან შემდგარი ბლოკი, რომლის კანდიდატმა - ლევან გაჩეჩილაძემ, იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ადგილი დაიკავა. ეს ბლოკი არჩევნებში მონაწილეობს როგორც „გაერთიანებული ოპოზიცია - ეროვნული საბჭო - ახალი მემარჯვენეები“ (გაერთიანებული ოპოზიცია). ბლოკში შედის „ახალი მემარჯვენეები“, რომლის ლიდერი დავით გამყრელიძე საპრეზიდენტო არჩევნებში დამოუკიდებლად იყრიდა კენჭს. „რესპუბლიკურმა პარტიამ“, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებისას ბატონი ლევან გაჩეჩილაძის ბლოკის ნაწილი იყო, 29 თებერვალს განაცხადა, რომ არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებდა მონაწილეობას. არჩევნებში მონაწილე დანარჩენ პარტიებს წარმოადგენენ ახლადშექმნილი „ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსი“ და „ლეიბორისტული პარტია“.

ზოგადად ინკლუზიური და გამჭვირვალე რეგისტრაცია ცესკო-ში 21-22 აპრილს მომხდარმა მოვლენებმა დაჩრდილა. დაახლოებით 18:00 საათისთვის, რაც იყო ცესკო-ში კანდიდატთა სიის წარდგენის ბოლო ვადა, პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ, რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიის პირველი ნომერი იყო, არჩევნებში კენჭის ყრაზე უარი განაცხადა, რაც სიის ფორმირების თაობაზე კონსენსუსის ვერ მიღწევით იყო განპირობებული. იმ ექვსის საფუძველზე, რომ ქალბატონი ნინო ბურჯანაძის კანდიდატურის ჩანაცვლების მიზნით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ სიას კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ შეცვლიდა, ოპოზიციის მიერ დანიშნულმა ცესკო-ს წევრებმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიის ნახვა მოითხოვეს, თუმცა ცესკო-ს თავმჯდომარემ მათ ამაზე უარი განუცხადა იმ მიზეზით, რომ კანცელარია იმ დროს უკვე დაკეტილი იყო და ინფორმაცია დილით გახდებოდა ხელმისაწვდომი. ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერი ცესკო-სთან მივიდა, რათა აღნიშნულ მოთხოვნას სიმძაფრე შეეძინა. შემთხვევას ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები ესწრებოდნენ. სია, რომელიც ბოლოს ოთხი საათის შემდეგ გამოაჩინეს, არ ინახებოდა იმ ოთახში, რომელზედაც ცესკო-ს თავმჯდომარე თავდაპირველად მიუთითებდა და რომელსაც ოპოზიცია იცავდა. ამ მოვლენებს ნაკლებად გამჭვირვალე ხასიათი ჰქონდა, რადგან ცესკო-ს ზოგიერთმა წევრმა და თანამშრომელმა ცესკო-ს სხვა წევრებს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა შეუზღუდა.

## პოლიტიკური გარემო და საარჩევნო კამპანია

პოლიტიკური გარემო კვლავ მკვეთრად პოლარიზებულია. ოპოზიცია დიდ უნდობლობას გამოხატავს სახელმწიფო მოხელეების მიმართ, გამოთქვამს ეჭვს საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობაზე და უნდობლობას უცხადებს საარჩევნო პროცესს, როგორც კანონმდებლობით დადგენილ პროცედურებთან, ისე საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა მიერ აღნიშნულ პროცედურათა განხორციელებასთან მიმართებაში.

საარჩევნო კამპანია დაიწყო; განსაკუთრებით აქტიურად კი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ, რომლის საარჩევნო გზავნილი ხელისუფლების მიერ სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფისკენ გადადგმულ ნაბიჯებზე აკეთებს აქცენტს, რაც სიღარიბის აღმოფხვრას ემსახურება. თუმცა, იშვიათად აქვს ადგილი რეალურ თემებზე დაფუძნებულ პოლიტიკურ დებატებს, რადგან ოპოზიციური პარტიები, განსაკუთრებით კი, „გაერთიანებული ოპოზიციური ბლოკი“ აქცენტს საარჩევნო დარღვევების ბრალდებებზე აკეთებს. ბრალდებები ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან მოიცავს ბრალდებებს დაშინების, მათ შორის ოპოზიციური კანდიდატების; ზეწოლის, განსაკუთრებით საჯარო სექტორის თანამშრომლებზე; ხმების მოსყიდვის; ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების; და საჯარო მოხელეთა მიერ (მაგ.: რეგიონების რწმუნებულთა) კანონსაწინააღმდეგო საარჩევნო კამპანიის წარმოების თაობაზე. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა დღემდე დაშინების გაცილებით ნაკლები ფაქტი დააფიქსირეს, ვიდრე ეს იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებამდე იყო. ზოგიერთმა ოპოზიციონერმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მისამართით შეურაცხმყოფელი სიტყვები გამოიყენა. ადგილი ჰქონდა გაფრთხილებებს გაერთიანებული ოპოზიციის მხრიდან იმის თაობაზე, რომ თუ არჩევნები არასამართლიანად ჩაითვლებოდა, „აჯანყება“ მოხდებოდა.

„ეროვნულმა დემოკრატიულმა ინსტიტუტმა“ (NDI) პარტიის აქტივისტებისთვის ქცევის კოდექსი შეიმუშავა, რომელსაც ხელი რამდენიმე პარტიამ მოაწერა, მათ შორის „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და საპარლამენტო ოპოზიციის უმეტესობამ. აღნიშნული კოდექსი 11 აპრილს პრესკონფერენციაზე წარმოადგინეს.

## მედია

ოპოზიციის მიერ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გაკრიტიკების შემდეგ, 26 თებერვალს პარლამენტმა მაუწყებლის ახალი სამეურვეო საბჭო აირჩია. საბჭოს ცხრა წევრი, რომელიც „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საქმიანობას უწევს ზედამხედველობას, ხელისუფლებასა და ძირითად ოპოზიციურ ბლოკს შორის შეთანხმების შედეგად დაკომპლექტდა. 4 აპრილს, ახალმა საბჭომ მაუწყებლის ახალი დირექტორი 6 წლის ვადით აირჩია.



„საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს ინიციატივით, ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს „საზოგადოებრივ მაუწყებელსა“ და არჩევნებისთვის დარეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიებსა და ბლოკებს შორის. მემორანდუმი, რომელსაც ხელი 16 აპრილს მოეწერა, ითვალისწინებს ყველა კანდიდატის „დაბალანსებულ, ობიექტურ და მიუკერძოებელ“ გაშუქებას და საინფორმაციო გამოშვებებში ცალ-ცალკე რუბრიკებად „საარჩევნო ქრონიკისა“ და „ოფიციალური ქრონიკის“ გამოყოფას. „საარჩევნო ქრონიკაში“ გაშუქდება ყველა პოლიტიკური პარტიისა და ბლოკის ღონისძიება. „ოფიციალურ ქრონიკაში“ კი, აქცენტი სახელმწიფო ადმინისტრაციის საქმიანობაზე გაკეთდება. „საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ პოლიტიკურ პარტიებსა და ბლოკებს შორის კვირაში ორჯერ (21 აპრილიდან 20 მაისამდე) სატელევიზიო დებატების გამართვა დაიწყო. მან ასევე 36 წუთი გამოუყო თითოეულ პარტიასა და ბლოკს საარჩევნო პროგრამის უფასოდ წარსადგენად (კვირაში სამჯერ). დებატებში მონაწილეობის თარიღი და რიგითობა, ასევე პროგრამის უფასო წარდგენა წილისყრით გადაწყდა.

საარჩევნო კოდექსი არეგულირებს მედიის ქცევას საარჩევნო კამპანიის პერიოდში, მათ შორის უფასო და ფასიანი საეთერო დროის გამოყოფას საარჩევნო სუბიექტებისთვის. კანონი ერთმანეთისგან განასხვავებს „კვალიფიციურ“ და „არაკვალიფიციურ“ სუბიექტებს<sup>8</sup>. „საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ უფასო რეკლამებისთვის თითოეული კვალიფიციური სუბიექტისთვის ყოველ საათში 60 წამი გამოყო, თითოეული არაკვალიფიციური სუბიექტისთვის კი, საათში 30 წამი. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ უფასო საეთერო დროის გამოყენება 18 აპრილს დაიწყო, გაერთიანებულმა ოპოზიციამ კი - 25 აპრილს.

10 აპრილიდან მოყოლებული OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისია 5 ტელეკომპანიისა<sup>9</sup> და ოთხი გაზეთის<sup>10</sup> რაოდენობრივ და ხარისხობრივ მონიტორინგს აწარმოებს. მონიტორინგის წინასწარი შედეგები აჩვენებს, რომ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ თავისი პოლიტიკური და საარჩევნო „პრაიმ-ტაიმის“ საინფორმაციო გამოშვებებში თანაბარი დრო დაუთმო ძირითად ოპოზიციურ ბლოკს (20 პროცენტი) და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (15 პროცენტი). „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქების ტონალობის 59 პროცენტი იყო დადებითი, 39 პროცენტი კი - ნეიტრალური. ოპოზიციური ბლოკის შემთხვევაში მხოლოდ 5 პროცენტი გაშუქდა დადებითად, 95 - ნეიტრალურად. ამასთანავე, „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ ხელისუფლების ღონისძიებებს, რომლებსაც კამპანიური ხასიათი არ ჰქონდა, ფართო და კეთილგანწყობილი სიუჟეტები მიუძღვნა, რითაც ხელისუფლების მომხრე კანდიდატები მომგებიან პოზიციაში ჩააყენა.

<sup>8</sup> კვალიფიციური სუბიექტი არის პოლიტიკური პარტია ან ბლოკი, რომელიც პარლამენტში ფრაქციით არის წარმოდგენილი ან უკანასკნელ არჩევნებში პროპორციული სისტემის საფუძველზე მიიღო საქართველოს ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 4%-ისა. არაკვალიფიციურმა სუბიექტმა უფასო საეთერო დროის მისაღებად კი, უნდა დაადასტუროს ხალხის მხარდაჭერა საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებით.

<sup>9</sup> პირველი არხი (საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი), „რუსთავი 2“, „მზე“, „კავკასია“ და „ტელეკომპანია აჭარა“.

<sup>10</sup> „რეზონანსი“, „24 საათი“, „ალია“ და „კვირის პალიტრა“.

იქედან გამომდინარე, რომ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერი კვლავ არ განახლებულა<sup>11</sup>, კერძო ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ყველაზე პოპულარული ტელეარხია საქართველოში. იგი დღემდე უარს აცხადებს ოპოზიციური ბლოკის ღონისძიებების გაშუქებაზე თავის ყველაზე პოპულარულ საინფორმაციო გამოშვებებში. ტელეკომპანია „მზე“, რომელიც იგივე მედიაჰოლდინგის ნაწილია, მსგავს მიდგომას იყენებს. „რუსთავი 2-მა“ გამოცხადებული ბოიკოტი იმით ახსნა, რომ თავის ჟურნალისტებზე ძირითადი ოპოზიციური ბლოკის წარმომადგენლებისა და მათი მხარდამჭერების მიერ სიტყვიერი და ფიზიკური იერიში ხორციელდებოდა. ბოიკოტის მოსახსნელად, „რუსთავი 2“ მოითხოვს სახალხო ბოდიშის მოხდას და იმის გარანტიას, რომ თავის ჟურნალისტებზე მსგავს იერიშს მომავალში ადგილი აღარ ექნება. ოპოზიციის მიერ ბოლო დროს გამართულ შიმშილობასთან დაკავშირებით, ცხრა პარტიისგან შემდგარმა ბლოკმა „რუსთავი 2“ და „მზე“ ხელისუფლებისადმი მიკერძოებულობაში დაადანაშაულა და გადაწყვიტა მათთვის ბოიკოტის გამოცხადება და ინტერვიუების მხოლოდ პირდაპირ ეთერში მიცემა. 17 აპრილს გამართულ პრესკონფერენციაზე ძირითადად ოპოზიციურმა ბლოკმა ბოიკოტის შეწყვეტა გადაწყვიტა და განაცხადა, რომ თავიანთი საარჩევნო შტაბი ღია იყო ყველა ჟურნალისტისთვის, „რუსთავი 2-ისა“ და „მზის“ ჩათვლით.

## საჩივრები და განცხადებები

ოპოზიციური პარტიები და ადგილობრივი დამკვირვებლები საარჩევნო ადმინისტრაციისა და სასამართლოების მიმართ უნდობლობას გამოხატავენ, რადგან, მათი რწმენით, ისინი არჩევნებთან დაკავშირებული უკმაყოფილებების მოგვარების ეფექტურ საშუალებებს ვერ იძლევიან. სახალხო დამცველის აზრით მოქალაქეებს სამართალდამცავებთან დარღვევების შესახებ გაცხადების ეშინიათ.

დავების გადაწყვეტის თაობაზე საარჩევნო კოდექსის დებულებები ძირეულად გადაიხედა. მიუხედავად იმისა, რომ პროცესი გამარტივდა, დებულებები კვლავ რთული და ორაზროვანია. საარჩევნო ადმინისტრაციისა და სასამართლოების ორმაგი იურისდიქცია გაუქმდა, უფრო ნათლად განისაზღვრა პროცედურა და დროის შუალედი. თუმცა გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და საარჩევნო ადმინისტრაციაში საჩივრების განხილვის ვადის შემცირება (ერთ დღემდე) - გასაჩივრების ვადა იწყება გადაწყვეტილების მიღების დღიდან და არა მას შემდეგ, რაც მომჩივანს შესაბამისი გადაწყვეტილების თაობაზე ეცნობება - ნეგატიური ცლილებაა, რამაც შესაძლოა პროცედურის სამართლიანად წარმართვის გარანტიაზე უარყოფითად იმოქმედოს.

<sup>11</sup> ტელეკომპანია „იმედმა“ მაუწყებლობა 26 დეკემბერს შეწყვიტა. მისმა მენეჯმენტმა გადაწყვეტა მაუწყებლობის დროებით შეწყვეტა იმ მიზეზით, რომ მასზე ხორციელდებოდა ზეწოლა როგორც ხელისუფლების, ისე ბატონი პატარკაციშვილის მხრიდან. ტელეკომპანია „იმედმა“ არჩევნების სადამკვირვებლო მისიას აცნობა იმის თაობაზე, რომ იგი მაუწყებლობის განახლებას 5 მაისს აპირებს, მას შემდეგ, რაც მისი ახალი მფლობელი დაფარავს არსებულ დავალიანებას სატელიტური კომპანიის მიმართ, რომელიც მისი სიგნალის რეგიონებში გადაცემას უზრუნველყოფს. ამასთანავე, ტელეკომპანია „იმედი“ ახალი ამბების გამოშვებას და პოლიტიკურ თოქ-შოუებს მხოლოდ 21 მაისის არჩევნების შემდეგ განახლებს.

ცესკო-ს „განხილვის წესები“ არ შეიცავს მინიმალურ პროცედურული დაცვის მექანიზმს საჩივართა განხილვისას. მაგალითად, აღნიშნული წესები არ აძლევს მომჩივანს უფლებას, გაეცნოს კომისიის გადაწყვეტილების სამართლებრივ არგუმენტაციას, რაც ეფექტური საჩივრის მომზადებისთვის არის აუცილებელი.

საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, გაუმჯობესდა არჩევნების დღეს დაფიქსირებული დარღვევის თაობაზე შეტანილი საჩივრების განხილვა. ცვლილებების შედეგად ასევე შესაძლებელი გახდა საჩივრებში ტექნიკური შეცდომების გასწორება. თუმცა, საარჩევნო კოდექსის ახალი დებულება<sup>12</sup> საუბნო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული ოფიციალური ვიდეოჩანაწერების გამოყენების თაობაზე, აწესებს არასაჭირო აკრძალვას დაინტერესებული პირებისთვის მათზე სრული ხელმისაწვდომობის თაობაზე. ამით ზღუდავს ჩანაწერების, როგორც დანაშაულის სამხილის გამოყენებას. საოლქო საარჩევნო კომისიებში საშტატო შემადგენლობაში იურისტთა დამატება და ცესკო-ს იურისტთა რაოდენობის გაზრდა არის დადებითი მომენტი, ისევე როგორც ცესკო-ს დადგენილება საჩივრებისა და განცხადებების პროცედურების განმარტება და საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენინგი. თუმცა ეს ტრენინგი, რომელსაც არჩევნების სადამკვირვებლო მისია დააკვირდა, არ მოიცავდა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის საერთაშორისო სტანდარტებს, ასევე ტრენინგები არ იყო მიმართული სამართლებრივი ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევების განვითარებისკენ. სამწუხაროდ, არ იგეგმება ექსპერტების მიერ ცესკო-ს წევრთა და იურისტთა ტრენინგი ახლადმიღებული ცვლილებებისა და საჩივრების/განცხადებების განხილვის თაობაზე. თუმცა, უზენაესმა სასამართლომ ასეთი ტრენინგები თავის მოსამართლეებს უკვე ჩაუტარა. ზოგადად, შეინიშნება კოორდინაციისა და თანამშრომლობის ნაკლებობა ცესკო-სა და სასამართლოებს შორის საერთო პრობლემატური საკითხების თაობაზე.

## ქალთა და ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობა

არ არსებობს არც სამართლებრივი ბარიერები, რაც ხელს შეუშლიდა ქალების საარჩევნო პროცესებში მონაწილეობას, და არც რაიმე სამართლებრივი დადგენილებები, რაც ხელს შეუწყობდა მათ მონაწილეობას. ზოგადად, ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი პოლიტიკურ ცხოვრებასა და საარჩევნო ადმინისტრაციაში. ცესკოს 13 წევრიდან ქალი მხოლოდ ერთია. თუმცა, ქალები უკეთ არიან წარმოდგენილნი ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაციაში. 2004 წლის ხელახალი არჩევნების შემდეგ, სულ 22 ქალი იყო პარლამენტის წევრი (9 პროცენტი).

2002 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით (რომელშიც არ შედიოდა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი), ეროვნული უმცირესობები მოსახლეობის 16,2 პროცენტს შეადგენს. ყველაზე დიდ უმცირესობას წარმოადგენენ აზერბაიჯანელები (6.5 პროცენტი) და სომხები (5.7 პროცენტი). მათი დიდი რაოდენობა ცხოვრობს

<sup>12</sup> საარჩევნო კოდექსის მუხლი 129<sup>8</sup> პუნქტი 10. ასევე შესაძლებელია მაქსიმუმ 15 წუთიანი ჩანაწერის მოთხოვნა. მოთხოვნაში კონკრეტულად უნდა იყოს მითითებული ზუსტი დღე და დრო.

სამხრეთ რეგიონებში აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვართან. სხვა ეროვნულ უმცირესობებს წარმოადგენენ რუსები, ოსები, ბერძნები, ებრაელები, აფხაზები და ქურთები. არიან ბოშებიც, მაგრამ ისინი ოფიციალურად არ არიან აღიარებული როგორც უმცირესობა. შესაბამისად, მათი რაოდენობაც გაურკვეველია.

ეროვნულ უმცირესობებს კონსტიტუციით მინიჭებული აქვთ სრული პოლიტიკური უფლებები. ცესკო საოლქო საარჩევნო კომისიათა მოთხოვნის საფუძველზე, გეგმავს საარჩევნო მასალების რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და ოსურ ენებზე დარიგებას ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

### **ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები**

მიუხედავად კვლავ არსებული წინააღმდეგობებისა, საარჩევნო კოდექსის დებულებები ადგილობრივი მიუკერძოებელი დამკვირვებლების თაობაზე შესაბამისობაში მოვიდა საერთაშორისო დამკვირვებლების თაობაზე არსებულ დებულებებთან. ახლა ისინი ნათლად განსაზღვრავენ ადგილობრივი დამკვირვებლების უფლებას, აწარმოონ დაკვირვება საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე. ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების რეგისტრაციის ვადა არჩევნებამდე 30 დღიდან 10 დღემდე შეიცვალა.

24 აპრილის მონაცემებით, ცესკო-მ 19 ადგილობრივი და 3 საერთაშორისო ორგანიზაცია დაარეგისტრირა. ძირითადი ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციებია „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, „ახალი თაობა - ახალი ინიციატივა“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ აწარმოებს გრძელვადიან დაკვირვებას და არჩევნების დღეს 700 დამკვირვებლის განლაგებას გეგმავს. იგი ასევე აპირებს 40 საოლქო საარჩევნო კომისიის 24 საათიან მონიტორინგს არჩევნების შემდეგ. „ახალი თაობა - ახალი ინიციატივა“ გეგმავს ხმათა პარალელურ დათვლას ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში.

### **OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის საქმიანობა**

OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის ოფისი თბილისში 2008 წლის 10 აპრილს გაიხსნა. მისიის ხელმძღვანელი შეხვდა პარლამენტის თავმჯდომარეს, საგარეო საქმეთა მინისტრს, ცესკო-ს თავმჯდომარეს, გენერალურ პროკურორს, სახალხო დამცველს და სხვა ოფიციალურ პირებს და ეუთოს წევრი ქვეყნების ელჩებს. OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ პირველი შეხვედრები გამართა და მუდმივი კონტაქტი დაამყარა ცესკო-სთან, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფთან, ძირითად პოლიტიკურ პარტიებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, მედიასთან და პოლიტიკურ ანალიტიკოსებთან. პირველი ბრიფინგი დიპლომატიური კორპუსისთვის და საქართველოში აკრედიტებული საერთაშორისო საზოგადოებისთვის 24 აპრილს გაიმართა.